



განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ  
საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური  
მომსახურების სამსახურის  
2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი: მარინა ჯაფარიძე



2020 წელი ჩვენთვის, ისე, როგორც მთელი მსოფლიოსათვის, სირთულეებითა და გამოწვევებით იყო გამორჩეული. შესაბამისად, ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებითა და მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრით სამსახურისათვის 2020 დაგეგმილი თანხების იმ სიზუსტით განკარგვა, როგორც ეს საფინანსო დოკუმენტში იყო გაწერილი. წარმოგიდგენთ, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ 2020 წელს გაწეულ მუშაობის ანგარიშს.

### კულტურის განყოფილება

კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 2020 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 250 000 ლარი გამოიყო.

პანდემიური ვითარების გამო 2020 წელს დაგეგმილი ღონისძიებების უმატესობა ვერ განხორციელდა.

წარმოგიდგენთ იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელიც წლის განმავლობაში ჩატარდა, რაშიც ჯამში 70 000 ლარი დაიხარჯა.

- შობის დღესასწაულზე, ოზურგეთში ტრადიციული „ალილოს“ მსვლელობას მუნიციპალიტეტის მერიაც შეუერთდა და საახალწლო ნობათი მეალილოეებს ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებში გადასანაწილებლად გადასცა;
- ძველით ახალი წელი „კალანდა-2020“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიღში საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა;
- 13 თებერვალს ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, საქართველოს დამსახურებული არტისტის მურმან ჯინორიას მონოსპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი,“ გაიმართა. ღონისძიება დაფინანსდა - 2 700 ლარით.
- მგალობელ-მომღერალთა ტრიო „ხელხვავს“ გაეწია ფინანსური დახმარება აუდიო ალბომის გამოცემასთან დაკავშირებით და შალვა რადიანის სახელობის მუზეუმში მოეწყო ალბომის პრეზენტაცია.
- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების სფეროში მოღვაწე 40 ქალბატონი საჩუქრებითა და თაიგულებით დაჯილდოვდა.
- დაფინანსდა 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება ახალი წლის ღონისძიებებისათვის - მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი.
- 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე რეგისტრირებული სულ 4 (ოთხი) დიდი სამამულო ომის ვეტერანს გაეწია ფინანსური დახმარება სულ 4 120 ლარის ოდენობით.

- დაფინანსდა 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება და საფლავების გვირგვინებით შემკობა.
- 14 აგვისტო - მოეწყო სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის "იყავი თანამმართველი" გამარჯვებული საპროექტო განაცხადების საინფორმაციო - გაცნობითი ღონისძიება კულტურისა და დასვენების პარკში.
- კულტურის განყოფილების ჩართულობით მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი ტელეკომპანია „პოსტ-ტვ“-ისთვის, რომელიც ეხება გურიის რეგიონის კულტურის, ტრადიციების, საზოგადოებისათვის უცნობი ისტორიების აღმოჩენას, ქართული ეროვნული თვითმყოფადობისათვის დამახასიათებელი ელემენტების შეკრება - შენარჩუნებას.
- 27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული 19 მებრძოლის ოჯახზე გაიცა მატერიალური დახმარებები, გვირგვინებით შეიმკო მათი საფლავები.
- 17 ოქტომბერს - სოფელ ლიხაურში სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა-2020“ მოკრძალებულად აღინიშნა.
- 2020 წელს ხანდაზმულ, ღვაწლმოსილ 6 ადამიანს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაეწია ფინანსური დახმარება.
- საახალწლოდ განხორციელდა ქ. ოზურგეთის ქუჩების განათებებით მოწყობა-განახლება. აღნიშნულ ღონისძიებაზე დაიხარჯა - 25 000 ლარი.
- მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტი „კალანდის“ დღესასწაულთან დაკავშირებით.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და „კარიტას გეორგიკას“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შინ მოვლის მომსახურებისთვის 44 ბენეფიციარს გაეწია ფინანსური დახმარება - 5 000 ლარით.

### **განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება**

განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 150 00 ლარს. აღნიშნული თანხიდან წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად გაიხარჯა 77 032.35 ლარი.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან წახალისები სმიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებს 3000 ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 17 კურსდამთავრებული გახდა 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1000 ლარით (თითოეულ წარმატებულ მოსწავლეზე) სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით. შესაბამისად, ექვს სკოლას დაუფინანსდა კაპიტალური ხარჯი.

3. პროგრამული ღონისძიებებიდან, ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო, ვერ ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები: კულტურულ - შემეცნებითი ტურები, ეროვნული სამოსის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, 8 მარტი, 3 მარტი, დაუნის სინდრომის დღე, ოჯახის სიმტკიცის დღე, მასწავლებელთა დღე და ა.შ

ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება; ტრადიციულად თანადაფინანსდა მედია პროექტი - „ეტალონი“, გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების კონკურსი „ზამთრის ვერნისაჟი“; თემატური ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა - „არა ოკუპაცია - 25 თებერვალი“, "სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე " ვიზიტი სოფ. კვირიკეთში საოჯახო სასტუმრო „კომლში“, თანადაფინანსდა პროექტი „გლობალური დათბობის კამპანია-შესაძლებლობა შეცვალო მომავალი.“

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე სამ პირს გაეწია ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.

5. განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილება წლის განმავლობაში ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებს. მათ შორის, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „მერსი კორბის“ დახმარებით გაიხსნა "ქალთა ოთახი" ახალი მუნიციპალური სერვისი ქალებისთვის. განყოფილება აქტიურად აწარმოებს სამუშაო შეხვედრებს ონლაინ ფლატფორმა zoom- ის მეშვეობით, სხვადასხვა არასამთავრობო თუ კერძო სტრუქტურებთან. მათ შორის, საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ფონდ „მერსი კორბსთან“, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმთან“, სახალხო დამცველის აპარატის ოზურგეთის წარმომადგენლობასთან, ოზურგეთის „კრიზისულ ცენტრთან“ და ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობით.

საქართველოს მთავრობის სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 საპილოტე მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარე წელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ამ ეტაპზე - დასრულდა „ახალგაზრდების საჭიროებების“ კვლევები. კვლევის შედეგად, მოხდა ახალგაზრდული სივრცის გამოყოფა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, რომელიც განთავსდება ა. (ა) .ი.პ. კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში. „ახალგაზრდობის სააგენტო“ უზრუნველყოფს აღნიშნული სივრცის ტექნიკით აღჭურვას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონლაინ ფლატფორმის zoom-ის მეშვეობით აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, სადაც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განისაზღვრება სტრატეგიული პრიორიტეტები და ახალგაზრდული პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დეკემბრის თვეში მზად იქნება პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება საკრებულოს.

### **სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება**

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 100 000 (ასიათას) ლარს, სპორტულ ორგანიზაციებთან, სპორტის განვითარების ა.ა.ი.პ. -ებთან, სპორტის ფედერაციებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, ტრადიციულად, წარმატებით ახორციელებდა სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუნიციპალურ პროგრამათა კოორდინაციას, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას.

ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიზნით, სათანადო პროექტებისა და საქმიანობის განხორციელებას, მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდობის საზოგადოებაში ინტეგრაციას.

მიმდინარე წელს, სამწუხაროდ, COVID-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, ვერ მოხერხდა წლის გეგმით გათვალისწინებული და ასევე შემხვედრი ღონისძიებების სრულად განხორციელება, სამუშაო შეხვედრების დიდი ნაწილი იმართებოდა ონლაინ ZOOM-ში.

აქიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალს.

მიმდინარე წლის 22 თებერვალს, გურიის გუბერნიაში, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და „ახალგაზრდობის სააგენტოს“ წარმომადგენლებს შორის, ახალგაზრდების საჭიროებების

კვლევაზე დაფუძნებით, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა.

1. თებერვალში საზეიმოდ გაიხსნა „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020“, რომელშიც ტრადიციულად წარმატებით იასპარაჟეს, მუნიციპალიტეტში არსებულმა საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეთა გუნდებმა.
2. 26-28 თებერვალს ჩატარდა ინტელექტთამაშების „რა?, სად?, როდის?“ საგანაფხულო სეზონის შესარჩევი ტურები, რომელშიც ჩართული იყო მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეებით დაკომპლექტებული 16 გუნდი.
3. მარტის თვეში, „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ ფარგლებში, გაფორმდა მემორანდუმი 11 მუნიციპალიტეტის მერთან, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთანაც.
4. KOVID-პანდემიასთან დაკავშირებით შეიცვალა დაგეგმილი ღონისძიებების ფორმატი, მათ შორის, სამუშაო შეხვედრა ახალგაზრდულ სააგენტოსთან, რომელიც გაიმართა zoom-ში.
5. საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ფედერაციისა და ჩვენი განყოფილების ორგანიზებით, გამართულ „მოყვარულთა თასი 2020“-ის საფეხბურთო ტურნირებში, მასობრივად იყვნენ ჩართულნი და წარმატებით ასპარეზობდნენ მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების ახალგაზრდა მოყვარული ფეხბურთელები.
6. „ევროპის სპორტის კვირეულის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ინიციატივით, აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად, დაიწყო COVID-პანდემიის პირობებში ფიზიკური და სპორტული აქტივობების ხელშემწყობი ონლაინ კამპანია - „BEAqtive“ (იყავი აქტიური). აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები პროფესიონალი და მოყვარული ახალგაზრდა სპორტსმენები.
7. გაიმართა ონლაინ შეხვედრა, ოზურგეთში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელ თამარ ოგანესოვასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, სადაც განხილული იქნა პრობლემები ქალთა უფლებების შესახებ.
8. ტრადიციულად, ფინანსური წვლილი შევიტანეთ მუნიციპალიტეტის ჭადრაკის ფედერაციის განვითარებაში.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, უკვე წლებია, პროექტ - „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობები ხორციელდება, ერთ-ერთი მათგანია ინიციატივა „თვითმმართველობა განათლებისთვის“. სწორედ „თვითმმართველობა განათლებისთვის“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო პროექტი, „ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას,“ გახდა ინსპირაცია ახალი ინიციატივისა - „ახალგაზრდების თვითგამოხატვის უფლების მხარდაჭერა თვითმმართველობაში“. რომლისთვისაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2020 წლის ბიუჯეტში 50 ათასი ლარი გამოყო. და გამოცხადდა კონკურსი, რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 12-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების/პროექტების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება, რომლის შდეგად მოხდება თვითმმართველობის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვა და მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

### **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო - **1,670.0 ლარით**.

სამსახური 2020 წელს ახორციელებდა - 15 სახის პროგრამას.

მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებას დაეწერა და განიხილა 5 925 განცხადება.

განყოფილება მუშაობს ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების მიხედვით:

**1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა:**

ბიუჯეტი 318 600 ლარი, გაცემული თანხა - 250 900 ლარი.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან მიმდინარე წელს სამუშაო ჯგუფმა განიხილა და დააკმაყოფილა **29 მოქალაქის** განცხადება. მათ შორის, სამ ოჯახს გამოეყო თანხა საცხოვრებელი სახლის შესაძენად.

ამ ეტაპზე, ბინის ქირით მოსარგებლეა- **48 ოჯახი**.

**2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა: ბიუჯეტი - 255 200 ლარი.**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამით მიმდინარე წელს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 174 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თითოეულს 100 ლარის ოდენობით.

შშმ პირებს მხედველობით დახმარება გაეწია - 88 მოქალაქეს. შშმ პირებს, რომელთა ასაკია 6-დან 18 წლამდე ჰიგიენური საფენების შესაძენად დახმარება გაეწია 23 ბენეფიციარს.

საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“\_ს ყოველთვიურად ერიცხება 5000 ლარი 18 წელს გადაცილებული 20 შშმ პირის მომსახურებისთვის.

შშმ პირებისთვის სპეციალური ინვენტარის ან დამხმარე საშუალებების შეძენის პროგრამიდან დახმარება გაეწია 3 შშმ პირს - 4 150 ლარის ოდენობით.

ნოემრის თვეში შშმ პირისთვის შეძენილი იქნა ჟანგბადის კონცენტრატორი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მისთვის.

სულ აღნიშნული პროგრამიდან გახარჯულია - 102 800ლარი.

### 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია: დევნილთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით სათბობით უზრუნველყოფის მიზნით.

მატერიალური დახმარება გაეწია აფხაზეთიდან დევნილ 47 ოჯახს.

სარიტუალო დახმარების მიზნით დახმარება გაეწია ერთ ოჯახს - 250 ლ. ოდენობით

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 9 400 ლარი

### 4. მრავალშვილიან ოჯახთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მრავალშვილიან ოჯახთა ფინანსური დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი - 60000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მრავალშვილიან ოჯახებზე (ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი), ყოველთვიურ დახმარებას - სულ 27 ოჯახი.

100- დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებულია დახმარება 25 ლარის ოდენობით. (მონაცემები ცვალებადია სარეიტინგო ქულების შესაბამისად). სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 31 000 ლარი

### 5. სარიტუალო დახმარების პროგრამა

სარიტუალო დახმარების პროგრამიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება-გაეწია 8 ოჯახს. თითოეულს 500 ლარის ოდენობით. **ს ულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 4 000 ლარი**

#### **6. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი დახმარების პროგრამა.**

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების (კვარტალში ერთხელ) მატერიალური დახმარება 400 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს დახმარება გაეწია 14 ბენეფიციარს - თითოეულს 400 ლარის ოდენობით. **სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 11 800 ლარი.**

#### **7. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სხელმწიფო პროგრამაში, ყოველ კვარტალურად - 200 ლარის ოდენობით და პერიტონიალურ შემთხვევაში (დახმარების მიმღებმა 2 მოქალაქე) ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წელს პროგრამაში ჩართულია და დახმარების მიმღები- 36 მოქალაქე.

**გახარჯულია - 23 600 ლარი.**

#### **8. სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი**

პროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევებისთვის დახმარებას. აღნიშნული პროგრამიდან დახმარება გაეწია **143 მოქალაქეს. სულ გახარჯულია - 43 600 ლარი.**

#### **9. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა.**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 70 000-ის ჩათვლით, ბავშვის დაბადების შემთხვევაში ყოველთვიურად 100 ლარით დახმარებას, ბავშვის მოვლის საგნებისა და საკვების შესაძენად ფარმაცევტული დაწესებულებიდან. (მონაცემები ცვალებადია სარეიტინგო ქულის და ასაკის მიხედვით.) პროგრამაში ჩართული და ყოველთვიური დახმარების მიღრებია 32 ოჯახი. **სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 32 000 ლარი.**

#### **10. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.**

პროგრამის მიზანი: მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების უფასო კვებით უზრუნველყოფა. ბენეფიციართა რაოდენობა 180.

სოციალური განყოფილების მიერ მიმდინარეობს მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოქალაქეების პერიოდული მონიტორინგი.

აღნიშნული პროგრამით გახარჯულია - 114 300 ლარი.

**11. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.**  
(ბუნებრივი აირის საფასური).

პროგრამის ბიუჯეტი 15000 ლარი. გაცემული თანხა - 11 100 ლარი.

**12. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა**

პროგრამით ფინანსდება 6-18 წლამდე - 23 ბავშვი (ერთი ბენეფიციარი თვეში 150 ლარის ოდენობით) „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით. **სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 30 400 ლარი.**

**13. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამიდან მიმდინარე წელს - სამედიცინო მომსახურებისთვის (ოპერაცია, მკურნალობა) დახმარება გაეწია - 306 მოქალაქეს.** მედიკამენტოზური მკურნალობის დასაფინანსებლად მომზადდა მოხსენებითი წერილის - 881 მოქალაქეზე. **გახარჯულია - 142 800 ლარი.**

**14. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.**

მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამიდან სამედიცინო დაწესებულებაში და მედიკამენტოზური მკურნალობა დაუფინანსდა 594 მოქალაქეს. **გახარჯულია - 168 900 ლარი.**

**15. ძვირადღირებული კვლევის პროგრამიდან მიმდინარე წელს გამოკვლევები დაუფინანსდა - 171 მოქალაქეს. გახარჯულია - 26.000 ლარი.**

### **მერის სარეზერვო ფონდი**

**1 069 შეჭირვებულ** მოქალაქეზე, რომლებმაც განცხადებით მომართეს მუნიციპალიტეტის მერიას სამედიცინო მომსახურების, ჰოსპიტალური მკურნალობის, ძვირადღირებული მედიკამენტების თუ ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის და ვერ იპოვებდნენ დახმარების უფლებას, მომზადდა მოხსენებითი ბარათი, რომ მათი დახმარების საკითხი განხილულიყო მერის სარეზერვო ფონდიდან.

### **ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილება**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა. (ა). ი. კ. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაშია 44 ფილიალი (საბავშვო ბაღი), 842 თანამშრომლობითა და 2 404 აღსაზრდელით. ცენტრის ბიუჯეტი, წლის დასაწყისში, შეადგენდა 4 600 000 ლარს, ამჟამად, შეადგენს 4 300 000 ლარს (პანდემიის დროს, როცა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეჩერდა, მოხდა ბიუჯეტის კორექტირება).

მიმდინარე წელს ბაღებმა ფუნქციონირება დაიწყო 20 იანვრიდან. რასაც მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა წინ, კერძოდ, ჩატარდა სადებიზინფექციო სამუშაოები, აღებულ იქნა წყლის მიკრობიოლოგიური და ქიმიური ანალიზები, შესყიდულ იქნა კვების პროდუქტები. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად.

იანვარ-თებერვალში განყოფილების მიერ შესრულდა სხვადასხვა აქტივობა ავტორიზაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; განვახორციელეთ საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის მონიტორინგი, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა უფლებების (რეფერირება) დაცვის მიზნით მოვაწყვეთ შეხვედრები რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით განვახორციელეთ კვლევები, დავამუშავეთ მოძიებული სტატისტიკური მონაცემები. თებერვალში მერიის აქტიური მონაწილეობით გავხსენით ნასაკირალის საბავშვო ბაღი.

პანდემიის გამოცხადების შემდეგ ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით ა/წ 2 მარტიდან ა.ა.)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დაქვემდებარებაში არსებულ 44 ფილიალში (საბავშვო ბაღში) შეწყდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. სწავლება გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით ა.ა.)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალების (საბავშვო ბაღების) 2 646 აღსაზრდელს მიმდინარე წლის აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში დაურიგდათ 143 106 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტის შემდეგ, ყველა საბავშვო ბაღში დაიწყო ონლაინ აქტივობები, რომელშიც ჩართული იყო, როგორც სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდური განყოფილება, ასევე საბავშვო ბაღის აღმზრდელები, მეთოდისტები, მშობლები. განყოფილებამ ბაღების მენეჯერებთან გამართა ონლაინ შეხვედრები თემებზე: „ადრეული განვითარების თავისებურებები“, „განვითარების თეორიების მახასიათებლების განსაზღვრა ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით“. „ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები“ (პოლისტური მიდგომა), „თამაშით სწავლება“, შეხვედრებზე აქცენტირებული იყო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების გადაწყობა დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ასევე მოეწყო ონლაინ შეხვედრა სასკოლო ჯგუფის აღმზრდელებთან თემაზე: „კომუნიკაცია, ენის და მეტყველების უნარების განვითარება, წიგნიერება“. სისტემატურად ტარდებოდა ონლაინ შეხვედრები აღმზრდელებთან და მენეჯერებთან თემაზე: „პანდემიის დროს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება“. „ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება პრაქტიკაში პანდემიის დროს“. „პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენება დისტანციური სწავლებისას“. სკოლამდელი აღზრდის ცენტრს სისტემატურად მიეწოდებოდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადებული რეკომენდაციები-გზამკვლევი პანდემიის დროს, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, რომელიც გამოიყენება ონლაინ სწავლებისას.

ზაფხულის არდადეგების დასრულების შემდეგ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 15 ოქტომბერს, პანდემიის პირობებში, ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის

რეკომენდაციების სრული დაცვით, თუმცა ინფექციის გავრცელებისა და კოვიდ გამოვლინების მკვეთრი ზრდის გამო იძულებული გავხდით ისევ შეგვეჩერებინა ბაღების ფუნქციონირება, (აღსაზრდელებს დაურიგდათ 60 853 ლარის ღირებულების კვების პროდუქტი, ხოლო სწავლება ისევ გადავიდა ონლაინ ფორმაზე).

პანდემიის პირობებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეძლო 17 საბავშვო ბაღში განეხორციელებინა სარემონტო სამუშაოები, შესრულებული იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები.

განყოფილების თანამშრომლები, პანდემიის პირობებში ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებებს (ცხელი ხაზი, სასტუმროებისა ტურისტული ობიექტების მონიტორინგი).

ამჟამად, იგეგმება აღსაზრდელებისათვის სასურსათო კალათის გადაცემა საახალწლო საჩუქრებთან ერთად.

სკოლამდელი აღზრდის განყოფილება თავის საქმიანობას აგრძელებს დისტანციური მეთოდით. ის ა

2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის ცენტრის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი შეადგენდა 2 862 985 ლარს, კვებაზე დაიხარჯა 463 067 ლარი, კომუნალური გადასახდების ხარჯი შეადგენდა - 988 185 ლარს, გათბობის საშუალებები (შეშა და დიზელი) - 69 776 ლარს, სანიტარულ - ჰიგიენურ საშუალებებზე დაიხარჯა 20 926 ლარი, მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად შეძენილი იქნა სადეზინფექციო საშუალებები, პირბადეები, უკონტაქტო თერმომეტრები, დისპენსერები, დეზობარიერები, ხალათები, ბახილები, ქუდები, ხელთათმანები, რაზედაც გაიხარჯა - 16 760 ლარი. წყალმომარაგების სისტემაზე დაერთებაში და რემონტისათვის ურეკსა და N 7 ბაღებში გაიხარჯა - 4 641 ლარი. წყლის ლაბორატორიულ კვლევებში - 10 053 ლარი.

სამსახური მადლობას უხდის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლის ყველა თანამშრომელს, სახელმწიფო ინსტიტუციებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოქალაქეებს თანამშრომლობისათვის. ასევე, მადლობა სამსახურის ყველა თანამშრომელს 2020 წელს გაწეული შრომისათვის.

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი

მარინა ჯაფარიძე

